

29
1919



საქართველოს
ინფორმაცია

(იანვარის 10).

1919 წელი.

ფასი 50 კაპ.

ყოველ-ღლიური
საღამო

გაზეთი „სალი კლდე“

— დამოუკიდებელი —

ნაციონალ-დემოკრატიული
გამოდის გრიგოლ ვეშაბელის რედაქტორობით
გაზეთის ფასი 1919 წლის დამლევამდე 100 მანეთი,
ცალკე ნომერი 50 კ. განცხადებათა ფასი მორიგებით.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10
საათიდან 3 საათამდე.

კონტორა ქართულ ქარვასლაში, სასახლის ქ. № 6

ტელეფონი № 18-31.



დამოუკიდებელი ნაციონალური
პოლიტიკის ანგარიში

№ 13.
29/1919

წერილები

მეთაური. — არჩევნების წინ.
ი. ციციშვილი. — აგრარული რეფორმა და
სოფლის ინტელიგენცია.

ცნობები.

ინგლისის მუშები გაფიცვებით იმუქრე-
ბიან.
პოლონეთა და უკრაინელთა ბრძოლა
კვლავ გრძელდება.
უკრაინა საბჭოთა მთავრობას ომს უცხა-
დებს.
სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენე-
ლათ საქართველოში ტ. ბეკვალიანი ინიშ-
ნება.

აიღებ ხელს მოწერა 1919 წლისათვის.

ყოველ ღლიურ გაზეთ „სალი კლდე“-ზე.

გაზეთის ფასი:

ერთი თვით 10 მან. | სამი თვით 25 მან. | ექვსი თვით 50 მან. | ერთი წლით 100 მან.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი № 18-31.

კონტორა ქართულ ქარვასლაში, სასახლის ქ. № 6.

რამდენიმე საათი ღარჩა!
ღღეს საღამოს სწორედ 9 საათზე თავდე-
ბა საარჩევნო სიების შევსების ვადა

ქართველებო!

სომხებმა საარჩევნო ბიუროში 12,000 ქართველი მოქალაქის ბარათის
დასწავა მოასწრეს! შეიძლება თქვენი სახელიც ამოშლილიან! გაიგეთ და
ჩააწერინეთ თავი!

თფილისი ინფორმაცია

არჩევნების წინ.

ქალაქის საბჭოს არჩევნების დღე მოა-
ხლოვდა. მოახლოვდა დღე, როცა ყო-
ველმა ქართველმა ხმა მალა უნდა განა-
ცხადოს, რომ ის ვერ მოითმენს თფილი-
სის ქალაქის საბჭოში დაუნაკლებობისა და
რუს კადეტების, ამ საქართველოს მტრე-
ბის, ბატონობას. მოახლოვდა ის დრო,
როცა ყოველმა ქართველმა გაბედული
იერიში უნდა მიიტანოს საქართველოს
მტრების, სოციალისტების წყალობით ჯერ
კიდევ შერჩენილ, უკანასკნელ პოზიციე-
ბზე და სამუდამოთ ბოლო მოუღოს სა-
კუთარ ქალაქში საბოტაჟიკთა გამოს-
ვლებს.

დავალებული საქმის უსინდისოთ ამსრუ-
ლებელნი და საბოტაჟიკები, ეშალონე-
ლთა წყალობით დაკავებულ ადგილებს
ნებით არა სტოვებენ. პირაქეთ გვედავე-
ბიან და ძველი ადგილების დაკავებას ლა-
მობენ. ამისთვის ისინი არავითარ საშუა-
ლებას არ დაგიდვენ: დაწყებული კვლავ
სამოტაჟით და გათავებული მსახურთა მოს-
ყიდვით და ქართული საარჩევნო ხმების
განადღურებით.

ყოველმა ქართველმა მოქალაქემ უნდა
შეიგნოს, რომ საარჩევნო კომისიის დროს
სომხები, რუსები და ოსები შეუბრალებ-
ბელ ეროვნულ ომს გამოგვიცხადებენ,
იმისთვის, რომ კვლავ ხელთ იგდონ ჩვენი
ქალაქის ბედ-იღბალი. ისინი არაფერს მო-
ერიდებიან და ახალ მწარე დღეებს მო-
გვიშალებენ. ამის დამამტკიცებელია მათი
წარსული „მოღვაწეობა“. ამის ნათელი
საბუთია გუშინწინდელი მათ მიერ მსა-
ხურთა მოსყიდვა და თორმეტი ათასი
ამომრჩეველი ქართული ხმის მოპარვა.

მართალია გახშირებულმა საარჩევნო
კომისიებმა ადგილი გაუჩინა გულგრილო-
ბასა და აპატიას, მაგრამ დიდია მნიშვნე-
ლობა განსაკუთრებით დღევანდელ არჩე-
ვებისა და ამიტომ ყოველმა გა-ჯგარდინ-
ზე, ყოველ ქართველს ვუყვირთ:
ქართველო, დღეს ცხრა საათზე თავ-
დება საარჩევნო სიების შესწორება-შევსება.
თითოეული ქართული ხმა ძვირფასია. მი-
დით საარჩევნო კომისიებში და შეატანი-
ნეთ თქვენი თავი სიამში. არც ერთი ქარ-
თული ხმა არ დაიკარგოს.

საქართველოს ამბები.

ინგლისური გაზეთი თფილისში.
კვირას, იანვრის 26 გამოვა ინგლისური
გაზეთი „ამიერ კავკასიის ფოსტის“ პირ-
ველი ნუმერი. გაზეთი კვირაში ორჯერ
გამოვა.

ინგლისელები ქართულ ოპერაზე.
ინგლისის გენერალი ფორესტიერ უორკ-
რი და მისიის სხვა წევრები პარასკევს ია-
ნვრის 24 სახელმწიფო თეატრში ოპერა
„დემონ“-ის ქართულად წარმოდგენას და-
ესწრებიან.

ცხენოსანთა მფრინავი რაზმი.
დროებით დაარსებული ცხენოსანთა
მფრინავი რაზმი მთავრობის დადგენილე-
ბით იარსებებს განზრახულ ვადის შემდე-
გა.

საქართველოს ელჩი უბანში.
საქართველოს მთავრობის წარმომადგენ-
ლად უბანში სიმონ მდივანი დაინიშნა.
სადღესასწაულო საჩუქრების მოხაზვა.
მთავრობამ დაადგინა მოსპოს სახელ-
მწიფო მოსამსახურეთათვის სადღესასწაუ-
ლო საჩუქრების მიცემა. უკვე მიცემული

ჯალდო უბედური შემთხვევისთვის გაცე-
მულ დახმარებათ ჩაითვლებმ. გაუქმდება
რუსეთის კანონი სადღესასწაულო ჯილ-
დოების შესახებ.

„კავკასიურ სლოგო“-ს გამოხვლა.
მთავრობის იმ პირობებით დაურთვია
გაზ. „კავკასიურ სლოგო“-ს გამოსვლა,
ყოველივე საქართველოს დამოუკიდებლობის
ნიღაღზე დადგება.

ეპიდემიასთან ბრძოლა.
საქართველოში სხვა და სხვა ეპიდემი-
ასთან საბრძოლველად მთავრობამ საგან-
გებო რწმუნებული დანიშნა რწმუნებულ-
თან დაარსდა განსაკუთრებული საათ-
ბირო.

ახალი სასწავლებელი.
ქ. თფილისში (ავლაბარი) წმ. მიცხოვ-
რის ფერისცვალების (დარის) მონასტერ-
თან დაარსდა კერძო სასწავლებელი სასწავ-
ლებელი. მოწაფეთათვის წლოვანება გა-
ნუსაზღვრელია, საღვთისმეტყველო საგნე-
ბის და საეკლესიო გალობის შესწავლა და
აგრეთვე წირვა-ლოცვაზე მუდმივი სიარუ-
ლი სავალდებულოა.

სწავლის ფასი წლის ბოლომდის პრო-
გინაზიულ კლასებში—75 მან., მოსამზა-
დებელ კლასებში—60 მან.

წმ. მიცხოვრის ფერისცვალებას მონას-
ტრის წინამძღვარი და მასთან არსებულ
სასწავლებლის მმართველი აქტივანდოტი
იოანე.

150,600 რუს სამხედრო ტყვეებისათვის.
მთავრობამ დაადგინა სამხედრო კრედი-
ტიდან 150,000 მან. მიეცეს ავანსად რუ-
სეთის წითელი ჯვრის საზოგადოების სა-
მხედრო ტყვეთა გამგე კომიტეტს, რომ
მელსაც ამასთანავე უფლება ეძლევა ფოთ-
ში დააწესოს სანიტარული განყოფილება,
სადაც საქართველოს მთავრობას თავისი
წარმომადგენელი ეყოლება.

დახმარება ოსურგეთს.
მთავრობამ დააქაყაფა ოსურგეთის
სასურსათო კომიტეტის შუამდგომლობა
შარშან ოსმალების შემოსევის გამო მიყე-
ნებულ ზარალის ანაზღაურების შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა
მთავრობამ იანვრის 14 დაადგინა საბიუ-
ჯეტო წლის დასაწყისად ჩაითვალოს ივ-
ნისის 1, ხოლო მის ბოლოდ მისის 31.
ბიუჯეტი შეხდება 12 თვით.

მინისტრის მიერ თავის მოწამვლა
გუშინ გზათა მინისტრმა ი. ლორთქი-
ფანიძემ თავი მოიწამლა, მიზეზი გამოურ-
კვეველია.

საქართველოს გაეროვნება
მთავრობამ იუსტიციის მინისტრს და-
ავალა გამოარკვიოს თუ რამდენად მიზან-
შეწონილ იქნება ამ ჟამად სასამართლოს
გაერთიანების მოხდენა.

გადმოსახლებულთა მიწების ბედი
იანვრის 14-ის სხდომაზე მთავრობამ
მოიწონა მიწადმოქმედების კანონპროექ-
ტი იმ მიწების შესახებ, რომელიც გად-
მოსახლებულთა დასტოვებს.

100000 მ ბათუმის გიმნაზიისთვის.
განათლების სამინისტრომ 100,000 მან.
გადალა ბათუმის ქართულ გიმნაზიის სა-
ქიროებისთვის.

დამფუძნებელ კრების კანდიტატთა სიები
ცენტრალ საარჩევნო ბიუროში დღემ-
დე წარდგენილია. სულ 7 საკანდიტატო
სია: №17—შოთა რუსთაველის პარტიისა,
№2—ეროვნულ-დემოკრატიისა, №3—
სოც.-ფედ. მამულაშვილის პარტიისა, №4—
მამულაშვილის ეროვნულ საბჭოსი, №5—
სოციალისტ-ფედერალისტებისა, №6—სო-
ციალისტ-რევოლუციონერებისა და №1—
საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ
პარტიისა.

საფოსტო სადგურების შენობათა შესყიდვა
მთავრობამ საგანგებო კომისია დანიშ-
ნა საფოსტო სადგურების მიერ დაკვე-
ბულ მიწების და შენობების შესყიდვის
საკითხის გამოსარკვევათ.

ბათუმის სსოვრება

ბათუმი, იანვრის 24. (საკუთარ კორე-
სპონდენტისაგან). სტამბოლიდან ჩამოვიდა
ინგლისელი, მთავარ სარდალი გენერალი
მილენგი რომელიც მეორე დღესვე თფი-
ლისში წავიდა. საგანგებო მატარებლე-
ბითვე წავიდა საქართველოს დღეე-
გაციის თავმჯდომარე. თოფურისე გა-
მოვიდა შეწყვეტილი გაზეთი „ბათუმ-
სკია ვესტი“ იმავე ლ. გერმანის
რედაქტორობით. საოლქო საბჭომ თავი-
სი რუსოფილური და შავრახმელი სი-
ცხველედ განიგა. მისმა თავმჯდომარე
მასლოვმა ქობულეთში მიტინგიც კი გა-
მართა და ხალხს ერთგულობაში და გულ-
წრფელობაში ფიციკებოდა. განახლებულ
სახელმწიფო დაწესებულებაში ქართველ-
ების მიღებაც დაიწყო.



ბათუმში ბევრმა სომეხმა მოიყარა თავი. ბათუმიდან ნატანებში დღეს 2 მატარებელი გადის ქართველმა საბჭომ გადასწყვეტა ქართული გიმნაზიის გახსნა. კომისია ენერგიულად შეუდგა მის განხორციელებას.

ინგლისელი ჩვენად.

„ერთობაში“ სწერია: 16 იანვარს საღამოს 4 საათზე ბათუმიდან გამოიარა ინგლისელთა სამხედრო მატარებელი (№ 150) აფიკურთა ვაგონში ჩვენ შევნიშნეთ ათამდე რუსი აფიცრები, ამათგან სამი სომეხი იყო.

რამდენიმე აფიცრს გამოჩენილათ ეკვრათ მკლავზე ალექსეევ-დენიკინის მონაღლისეთა ჯარის სამფროვანი ნიშანი. მცხოვრებნი გაკვირვებით უყურებდნენ ამათ და კითხულობდნენ: სად მიდიან ეს ყვავუორანთა მოციქულნი?

ვინ არის ეს სამ ფროვან ნიშანი აფიცრი, შეეკითხა ინგლისელ აფიცრს მატარებლის წასვლის დროს ერთი თანამდებობის პირი.

ეს ჩვენი თარჯიმანი არისო, მიუგო ინგლისელმა. სწორედ ათი წუთის წინ, როცა მე ვაგონში ავედი და თარჯიმანი მოვიტხოვე, რადგანაც ჩემს მოსაზრებ ინგლისელ აფიცრს ფრანგული ცუდად სკოდავდა, მან მითხრა: თარჯიმანი არა ვცაყვსო.

ღამის 9 საათზე მოვიდა მეორე სამხედრო მატარებელი (№ 152). მოსულმა სარწმუნო პირმა შემდეგი გადმოგვცა: ამ მატარებელში ათიოდე რუსი აფიცრი ჩაგვიჯდა ბათუმში; მე მათ სათანადო ნებადართვის შესახებ შევეკითხე, მაგრამ სიცილი დაიწყესო. სადგ. ნატანებში კი ჩვენმა კომენდანტმა გადმოაბრძანა რვა იმათგანი და დააკავაო.

როცა 8 იანვარს ინგლისელ მიორს ვკითხე მატარებელში რუსი პოლკოვნიკების, ამ „შემოხვევითი მგზავრების“ ყოფნის მიზეზი, ბ-მა მიორმა ასე მითხრა: აქ სუფსაში მიწა-მამულები აქვს ბატონი-

სიმოვს, რომელიც ახლა ბათუმის „ცხრათა საბჭოს“ წევრი არის; ესენი ამ მიწების მოზიარენი არიან და უნდოდნენ გაეგოთ, თუ რა მდგომარეობაში არის ეს მიწებიო მაგრამ განა ბ-მა ონისიმოვმა არ იცის თუ რა ბედი ეწია ჩვენში დიდ მამულებს“.

ქალაქის საგჟო

ორშაბათს, 20 იანვარს, ალ. ს. ლომთათიძის თავმჯდომარეობით ქალაქის საბჭოს მორიგი კრება შესდგა.

სხდომის წინათ საბჭოს ფრაქციებს თათბირი ჰქონდათ.

მრავალი მოქალაქენი, რომელნიც შეკრებილ იყვნენ საბჭოს კრებაზე დასასწრებლათ სხვ. ხმონებთან ერთად, საბჭოს დარბაზში მთავრობის თავმჯდომარის ხმოსან ბ-ნ ნოე ყორღანის შესვლას დიდს ტაშის კრით მიეგებნენ.

თავმჯდომარემ საბჭოს მოახსენა ქალაქის მოურავის განცხადება ქალაქის გამგეობის გადადგომის შესახებ.

სოც.-დემ. ფრაქციამ წინადადება შემოიტანა, ნდობის და უნდობლობის საკითხზე უმჯგლოთ საბჭომ სთხოვოს ქალაქის გამგეობას თავის ალაგას დარჩეს დე განაგრძოს მოქმედება ახალ არჩევნებამდე.

ხმ. კალიუენი (ს. რ.) ამბობს რომ ენლა დრო არ არის ნდობის საკითხზე ლაპარაკისა. ეს საკითხი გაიჩნება მომავალ არჩევნებზე. მხოლოდ სოც.-რევ. ფრაქციას მხედველობაში ჰქონდა და აქვს ქალაქის გამგეობის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნების მოსამზადებელ მოქმედებაში უნდობლობის გამოცხადება.

წინადადება სოც.-დემ. ფრაქციისა მიღებულ იქნა სოც.-დემ. რუს. სოც.-დემ., მუშათა პარტიის, სოც.-დემ. მაჰმადიანთა ფრაქციების ხმებით სოც.-რევ. და კადეტების ხმების წინააღმდეგ, დაშნაკაკონები ამ დროს დარბაზში არ იყვნენ.

წესრიგისამებრ თავმჯდომარემ წინადადება შეიტანა ამოირჩიონ დამფუძნებელ კრების საქალაქო საარჩევნო კომისია.

ფრაქციები ასახელებენ კანდიდატებს ხმ. გოთუა (ნაც.-დემ.) წინადადება შეაქვს, რომ საქალაქო არჩევნების კომისიაში ყველა ფრაქციას ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი.

ხმ. არსენიძე (სოც.-დემ.) აღიარებს, რომ წვირლ ფრაქციების წარმომადგენელთა დამფუძნებელ კრების საქალაქო საარჩევნო კომისიაში მონაწილეობა მეტიოა. ამ კომისიაში საბჭომ ამოირჩია ხმოსანნი: სოც. დემ. კახიანი, მახვილაძე, ნ. რუსია და კოკალიოვი, რუს. სოც.-დემ. მუშ. პარტიიდან ბროცკი, დაშნაკაკანები არუნიაი და ზარგარიანი, ნაც.-დემ. გოთუა და სოც.-ფედ. ბაბაიშვილი.

ამის შემდეგ ქალაქის მოურავის ამბანავმა გ. გ. კონიევმა საბჭოს მოახსენა ტრამვის მოსამსახურეთა მოთხოვნები ჯამაგირის მეშვიდე მომატების შესახებ. იგინი მოითხოვენ თითოთზე 250 მან. მომატებას ფეხშიწევი წელიწადში შეადგენს 4,194,638 მ. ზედმეტ ხარჯს. ამ ხარჯის დაფარვა ქალაქის გამგეობის და საბუჯეტო და შრომის კომისიების წინადადებით შესაძლოა ტრამვის ტარიფის გადღებით და ნაშენით 30 კაბ. მაგიერად 50 კაბ. 45 კაბ. მაგიერად 1 მან. და 75 კაბ. მაგიერად 1 მან. 50 კაბ. იმავე ზომით მოითხოვს მომატებას ქალაქის მილიცია, რომელსაც წელიწადში უნდა დაენიშნოს ზედ მეტად 3,600,000 მან. და დანარჩენ გამგეობის ქვემდევნობაში მყოფ მოსამსახურებს, რომლებსთვისაც მაშასადამე უნდა გადაიღოს 5,949,000 მან. წელიწადში. სულ ყველა მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად ამ მიმდინარე წელს დასჭირდება ზედმეტათ 15 მილიონის ვადდება. გამგეობას და კომისიებს სურვილი გამოუცხადებიათ ჯგერჯერობით ტრამვის ტარიფს მოუშაონ ტრამვის მოსამსახურეთადმი ჯამაგირების დამატების მისაცემათ და დანარჩენ ხარჯის დასახურათ მხჯელობა იქონიოს ქალაქის ამ წლის ხარბ-აღრიცხვის პროექტის განხილვის დროს.

არსენიძე ამბობს, რომ ეს საკითხი, რო-

გორტიან მოთიარის ზედ დამატებით ხარჯის მიღება, რომელიც შეეკრება ბიუჯეტს უდრის, დიდ სურვილს გამოიწვევს ენლა, როდესაც საბჭოს ვადა უთავდება და მაღე ახალი არჩევნები უნდა შესდგეს, უდროულნი და ეს დამატება, რასაკვირველია, უნდა მიეცეთ, მხოლოდ, როდესაც ქალაქის უინანსებლ ამის უფლებას მისცემენ ახალ საბჭოს. სანამ კი შეიძლება დეველოს გამგეობას გაკირებულ თავის მოსამსახურეთ შემწეობა აღმოუჩინოს, საბჭო ამ წინადადებას დებულობს. წეს რიგში დგას მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნები.

საბჭოს სარეკომენდაციო კომისიის წევრს ხმ. კახიანს წინადადება შეაქვს 22 მომრიგებელ მოსამართლის მაგიერად საბჭომ ჯერჯერობით ამოირჩიოს 15, რომლის შესახებ კომისიას აქვს ცნობანი მათ ქვეშევრდომობაზე და ქართული ენის ცოდნაზე. დანარჩენ კანდიდატებისაგან კომისიას ეს ცნობები არ მიუღია.

ხმოსანი ბროცკი, გეფშტინი და სხვ. თხოულობენ არჩევნების ერთი კვირით გადადებას და შემდეგ 22-დგ კანდიდატის არჩევნების ერთ დროით მოხდენას.

ამ სიგანმა დიდი კამათი გამოიწვია, რომელშიაც მონაწილეობდნენ ბ-ნ ელიაევა, ხანდანიავი, ამირალოვი, გოთუა, ნათაძე და სხვ. კამათის შემდეგ საბჭომ 32 ხმით წინააღმდეგ 27 ხმისა დაადგინა ნაწილობრივი არჩევანი მოახდინოს.

კენჭის ყრით თფილისის მომრიგებელ მოსამართლეთ არჩეულ იქნენ: ისაკ ხალაფიანი მიიღო 45 თეთრი კენჭი 4 შავი, გრიგოლ სულივეი და მიხეილ ტერივეი (43—6), სერგო დანდუროვი (42—7), ალექსანდრე ლიგენბევიჩი (41—3), ესტატე მირიანაშვილი, ივანე ხიშშიაშვილი და მიხეილ სარაჯიშვილი (40—9), არისტოლი კინაძე, აპლონი ჩაჩავა და სოლომონ ერისთავი (39—10), გიორგი მაჭავარიანი (38—11), ალექსი მაჩაბლიშვილი (37—12), დიმიტრი იგგორაშვილი და გრიგოლ კოკაშვილი (36—12).

ამის შემდეგ საბჭომ დაადგინა ნაძალა-

მოუცილებლობა პურის ქონა არ ქონაზე. გარდა ამისა, ჩვენს ქვეყანაში არის ისეთი ადგილები, სადაც ხორბლის მეტი სხვა კულტურის წარმოება არ შეიძლება, ასეთია მაგალითად ზემო-ქართლი, ვარეთ-კახეთი და სხვა. აქ მოპოვებინა მრავლად დიდი მხვენლ-მთესველნი, რომელთაც ხშირად საკუთარი გუთნეული ჰყავთ და ფართე ხენა-თესვის შესაფერი დიდი სამეურნეო შენობანი: ბოსლები, საბძლები, ბედლები, ბარები და სხვა. ჩანს ყველა ეს უნდა მოისპოს, რადგან ნორმისთვის გუთნეულისა და ხსენებულ შენობების შეხება აუტანელია, და რადგან, ჩვენი ქვეყნის ნიადაგი მეტად მძიმეა და მის დასამუშაებლად საჭიროა ბევრი საქონლის ყოლა, ხოლო წვირლი მესაკუთრე თითო უღლის მეტ ვერ შეინახეს, აუცილებელია რამდენიმეს თანამშრომლობა, ხარკამეთა, გუთნითა თუ მუშით, ეს გარემოება-კი შეუძლებელია მხდის ხენა-თესვის გაუმჯობესებას, რადგან მეურნეს არ ექნება საშუალება ხელოს ხელმეორედ გადახენისა, მისი აფოჩხვისა და სხვა მანიპულაციისა, რომელიც შემოიღო ხენა-თესვის უკანასკნელმა ტენიკამ. ყველა ამისთვის საჭიროა საკუთრივ რამდენიმე უღელი ხარკამეი ან ცხენი, ხოლო ნორმის ამ რიცხვის შენახვა არ ძალუძს. ტრატეორებზე ლაპარაკი ზედმეტია წვირლ მე-საკუთრობისგამო. ამ დარგის მრავალხისთვის სჭარბა აქა იქ აუთს შედარებით ფართე მამულის შენახე, რომელსაც შეეკრება და მოუკადეპელი მუშაობა და მაშასადამე ნიფატორობა.

აქვე უნდა აღენიშნოთ დამლუპველი ერთნაირობა ნორმისა, როგორც მრავალრიცხოვან ოჯახისათვის, ასევე მცირერიცხოვანისათვის. კოველივე ზემოხსენებულ შენიშენები-

აზრარული რეფორმა და სოფლის ინტელიგენცია.

(დასასრული)

მართალია ამ გვარ წარმოებას დიდი სივრცე არ სჭირია მაგრამ შეიძლი მარტის აზრარულ რეფორმას თანასდგეს ისეთი ორგანიზული ნაკლულები, რომ შესაძლოა ჩვენი მეურნეობის აღნიშნულ ტენდენციების შეფერხება. აი სახედლობრი:

1) ჯერ ერთი რომ იმ შვიდ დესეტინაში, რომელიც ამ მაღალ დარგებს აკუთვნეს დიდად საგრძნობი ნაწილი კარ-მიდამოს და მის შენობებს უკავიათ, რადგანაც ეს უკანასკნელი აგებული იყვნენ უფრო დიდს მასშტაბად ფართე მფლობელობის შეფარდებით და, მაშასადამე, დღევანდელ ნორმას ყველა ეს ვეზო-შენობები მძიმე ტვირთათ აწვიბიან. შეიძლება დესეტინაშია ჩათვლილი ყველა გამოუსადეგარი ნაწილები, როგორც არის გზა, სოფლის რუ და შიგ მოყოლილი უვარგისი ადგილები. ასე რომ საკუთრეთ შეუწესე შეიდეკეტინაზე ბუკათ ნაკლები რჩება.

2) მეორე გარემოება: რომელიც მხედველობაშია მისადები გახლავს მეურნის მეტათ მეურყვეი ბიუჯეტი: ასე, მაგალითათ: მებნილობამ იცის მეწლეობა და, მაშასადამე, შემოსავალიც წლიგამოშვებით, ამასთანავე ჩვენი ქვეყანა ხომ ხშირი სეტყვის ადგილია, თუ ამას დროგამოშვებითი მოუსავლობასაც მიუმატებთ ცხადი უნდა გახდეს რომ თუ მეურნე-მუშაულებს ან შიქის შეკლუტი ფონდი და რეზერვი არ გაჩნია ავი ბიუჯეტის ამ გვარ რეუგას ვერ გაუძლებს.

3) შესამე შენიშვნა შენება იმ გარემოებას, რომ ჩვენი მეურნე მარტო საბატარო დარგებით იოლად ვერ წავა, რადგან ჯერ ერთი რომ მაღალი კულტურა დიდ ძალ მუშა-ხელს თხოულობს, გარნა ჩვენი ხალხის ტრადიციით მუშამ მეურნის პური

უნდა სჭამოს და ესეც რომ არ იყოს თვით მეურნეც უხენა-თესვით ველარ გასძღებს, რადგან არც უახლოესსა და არც შორეულ მომავალში ჩვენ იაფი პურის იმედი არ უნდა გვქონდეს, ამასთანავე საფიქრალია, რომ დამოუკიდებელი საქართველო სულ უბაკით უცხოეთის პურს როდილა შემოუშვებს, მაშასადამე თუ მეურნეს საკუთარი ხენა-თესაც არ ექნება მას გაუჭირდება მუშის შოვნაც წვირლფებისა და საქონლის შენახვაც. არც ჩვენი სახელმწიფოა დაინტერესებული, რომ ჩვენი ქვეყანა, ხილისა, დაფნის და თუთუნის ამარა დარჩეს და ყოველ საჭირო სანოვავით, როგორც არის ხორბალი, ერთბო, ხორცი, მოცადი და მუშა საქონელი, მარად უცხო ქვეყნების კაპრიზებზე იყოს დამოკიდებული. არა თუ საქართველოს მეურნეს სხვადასხვა დარგის წარმოება არ შეიძლება—ის მეურნეობას ვერ შესძლებს, მით უმეტეს, რომ აფორიაქებული მსოფლიო, მოსალოდნელია დიდ ხანს არ დაწყნარდეს და ჩვენი ქვეყანა კვარვა ხანს ჩვენივე პურის ამარა დარჩეს.

შეატყვია იმ გვარ კარგობაში უწყებული ნორმა სკპარი ან იქნება.

4) რაც შეეხება მეურნეობის ისეთ დარგს, როგორც არის მეყველეობა—მესაქონლეობა, მის სრულ განადგურების ფაქტის წინ ვდგევართ. ცნობილია წილკა—თრიალეთისა და ბორჩალოს შესანიშნავ ფერობისა და ეკონომიების დიდი როლი ჩვენი ქვეყნის სამეურნეო პროდუქტის ექსპორტში. ამ ადგილების შევეტარიფო უაილაზე ნაკეთები ყველი, რიგალობაგას ბაზარზე თამამ კონკურენციას უკეთებდა თვით საკუთრივ შევეტარიის განთქმულ პროდუქტს.

უკანასკნელ სამოც წელში კერძო ინიციატივობამ და შრომამ შექმნა შესანიშნავი ტიპი ქართულ-ევროპიულ ჯიშის საქონლისა დღეს ეს საქონელი დაღუპულია და ფერმა-ეკონომები დანგრეული.

ჩვენი ქვეყანა, რომელსაც თვით გამჭონდა სხვაგან ებო-ყველი დღეს განიცდის ამ პროდუქტების საშინელს კრიზისს.

უშეველია მთავრობა შეეცლება ამ დარგის აღდგენას, მაგრამ საფიქრალია, რომ შეყველე-მესაქონლემ თვისი ხელობა ორმოც დესეტინის ნორმაზე განახლოს, რადგან მეურნეობის ეს დარგი სწორეთ ყველაზედ მეტს სივრცეს თხოულობს. არც ერთს ჩვენს შესანიშნავს მეყველეს ათას დესეტინაზე ნაკლები სათიფე-საზოვავი არ ჰქონია თვისი სამას-ოთხას ძროხის გამო-საკვებათ. თუ მომიგებთ, რომ ამ დარგის წარმოება საერთო საკუთრებას ანუ სახელმწიფო მამულებზედაც შეიძლება—ჩემი აზრით ეს მოსაზრება მართალია მხოლოდ ჩვენი მომთაბარე მეცხვარეობის შესახებ, რაც შეეხება ევროპიულ ჯიშის მესაქონლეობას, რომელიც ალაგობრივ რჩება ზამთარ-ზაფხულ და, მაშასადამე, აუარებელი ზაპასთივა-საკვების სჭირია—თუ არ საკუთარ მიწაზე მეურნე ვერ გასწყვეს საჭირო ხარჯებს ხსენებულ საკვების მოსაყვანათ. ამას უნდა სათივის სქლით გაპოხიერება, ბალახეულის ხელოვნური კულტურა, დიდი ძალი მკვიდრი შენობები, ძვირფასი და მრავალი ცოცხალი და უსულლო ინვეტარი და სხვა ხარჯი და ამბავი, რომელსაც კაცი სხვაგან და სკერთი ადგალზე არ გასწყვეს.

5) რაც შეეხება ხენა-თესვას, უშეველია ჩვენი მთავრობა შეეცლება მის წაქეზებას, რადგან ამწყომ კარვად დაგვანახა თუ რაოდენათ კილია თვით პოლიტიკური და-

დღის ბიბლიოთეკას და სამკითხველოს დაერქვა გ. ვ. პლენანოვის სახელი.

ქალაქის ზუბალის სახლის სახლობო სახლში (თეატრში) აღაგებენ ფანტაზიის მოცულობის 100 პროც. და დინიშნოს 40 კ. 3 მანეთად.

საბჭომ მიიღო გამგობის მოხსენება მილიციის შტატის გადღობის და მე-1 და მე-7 ნაწილებში კომისარების თანამშრომლების თანამდებობის დაარსების შესახებ.

საბჭომ მიიღო მოხსენება მილიციის შტატის დროებით 100 უნცროსი და 10 უფროსი მილიციონერების მიღებით მომართვის შესახებ, რისთვისაც თვეში 64200 მან. უნდა გადაიღოს.

დამტკიცებულ იქნა წეს-რიგი უფროს და უნცროს მილიციონერების სამსახურში მიღებისა და სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.

დანიარჩენ საკითხების განხილვა გადადებულ იქნა, რადგანაც საბჭოს დარბაზში კანონიერი რიცხვი ხმოსანთა არ იყო და 11 საათზე კრება დაიშალა.

უცხოეთის ამბები

ტალეზრამი.

საქართველოს სააგენტოსი.

ინგლისელ მუშების მოთხოვნები

ინგლისის მალაროს მუშების კავშირმა დაადგინა მთავრობას აუწყოს, რომ მათ განზრახული აქვთ 6 საათის სამუშაო დღის შემოღება. თუ მთავრობამ თანხმობა არ განაცხადა, მუშები თვით შეუდგებიან თავის გადარწმუნების სისრულეში მოყვანას. კავშირმა აგრეთვე მოითხოვა მალაროების ნაციონალიზაცია. უკან სწელ კრებაზე ნახევარ მილიონ ხმით, წინააღმდეგ 23000-ისა გადასწყვიტეს მოითხოვონ ავანსთა ჯამაგირის 20 პროცენტი და სამხედრო ავანსების გაგრძელება. უმცირესობა ამ მოთხოვნებზე არ დააკმაყოფილა.

დან ჩვენ შემდეგი დასვენა გამოგვაქვს: ნორმა მეტაჟი მქრე და რადგან გარემოების გამო უკვე შეუძლებელია ხვან-თქვის მამართლად, შესაძლოა ამის გამო ხანაზრად და ძვირფას დარგების შემგარება, რაც ეკონომიურ რეგრესს მოასწავებს.

VI.

ახლა შეუდგეთ მეორე საკითხის განხილვას: თუ როდენათ უზრუნველ ჰყოფს მატრიალურათ აგრარული რეფორმის სოფლის მეურნე ინტელიგენციას მის სოფლათ გაჩერებისათვის.

სამწუხაროთ, ისტორიულ გარემოების გამო, აგრარულ რეფორმის წარმოების დროს საავტორიო მომენტი სჭარბობს სხვა უფრო სერიოზულ მოტივებს. ამისათვის არის, რომ ხსენებული რეფორმა ვერ აკმაყოფილებს და ვერა ჰქმნის წარმოების ზრდა-განვითარების აუცილებელ პირობებს და, ამასთანავე, სამუდამოთ ამორებს სოფელს მის ინტელიგენტურ ელემენტს.

როგორც ზევითა ვსთქვით სოფლის მეურნეობა დიდად დამოკიდებულია ბუნებისა და შემთხვევით მოვლენებზე, ამისათვის მეურნის შემოსავალი მეტად ცვალებადია, მისი ბიუჯეტი მეტად მერყევი და თუ მას ძლიერი რესურსი ზურგს არ უმატებს ადვილათ ვარდება ვალებში და იღუპება.

გარდა ამისა ჩვენი სოფლის მეურნეობა ჯერ კიდევ ახალ დარგისა და ფორმის მიების პროცესშია და თვით საოჯახო და სახელმწიფო ამშენებლობის დასაწყისში, ყველა ამებს დიდი და ხანგრძლივი ხარჯები სჭირია, გარდა, მოგესხებათ ჩვენი მეურნეთა საყოველთაო უსახსრობა.

მეორეს მხრით, არც ჩვენს სახელმწიფოს გააჩნია ახლო მომავალში მანკი, ისეთი რესურსები, რომ მას შეეძლოს სესხის გაცემა დიდის ვადით და მკორდის

საბრძოლო ამბოხების ლიკვიდაცია

ბერლინში დააპატიმრეს მრავალი სპარტაკელი და ჩამოართვეს დიდძალი იარაღი. ქალაქში სიწყნარა. გერმანიის სხვადასხვა ცენტრებიდან მიღებულ ცნობების თანახმად პროვინციაში ჯერ კიდევ დიდი უწყობაა.

იტალია, დაღმაცია და საბერძნეთის კუნძულები

იტალიის კაბინეტმა უარი სთქვა დაღმაციის და საბერძნეთის კუნძულების მოთხოვნაზე, რადგანაც თვით კაბინეტში განხეთქილება მოხდა: სონინოს უნდა ამ ადგილების შესახებ დადებულ სიღუმტო ხელშეკრულებათა სისრულეში მოყვანა, ხოლო სოციალისტები მომხრე იყვნენ.

პოლონეთის მოთხოვნები

ჩეხო-სლოვაკების პრესბიურს ცნობით პოლონელი გაზეთები მოითხოვენ პოლონეთის სახელმწიფოებისთვის ახალშენებს, სახელდობრ: გერმანიის აფრიკაში 200000 კვ. კილომეტრს და კამერუნს საზღვო ნაპირით, ერთი ნავთსადგური მაინც. მომავალ ექსპერიმენტისთვის საინტერესოა კმაყოფილი იქნებიან თუ არა პოლონეთის მრეწველობით ახალშენის მცხოვრებნი. ჯერ-ჯერობით კი პოლონელების მიერ ევროპაში მართველობის შედეგები არ შეიძლება დახასიათდეს მომავლისთვის საიმედოთ.

პოლონეთა და უკრაინეთა ბრძოლა.

ლევის გაზეთები იუწყებიან, რომ ტარნობოლის ოლქში ბრძოლა პოლონეთა და უკრაინელებს შორის, სადაც მათ ძლიერი ჯარი ჰყავთ მოგროვილი.

დაღმაცია და მოკავშირენი.

დაღმაციის მთავრობამ პროტესტი გადასცა ფრანგების, ამერიკელების და ინგლისელების გემების უფროსებს და მარკაიულ ხაზს დარღვევის(?) გამო.

ინტერნაციონალისტები ბერნში

იანვრის 18 ბერნში ჩაიდენ გერმანიის და გიუსმანი და შვეიცარიელი სოციალისტების თანხმობით 27 იანვრისთვის

პროტესტი, და სწორებთ, ის ზედმეტი მამულები, რომ ქონდათ ჩვენს მესაკუთრეთ, გახლავთ ის ფონდი, ის თანხა, რომლის ნაწილ-ნაწილ გაყიდვით შეეძლოთ შენობების აგება, ბაღსა და სხვა კულტურაზე დახარჯულ თანხის ნაყოფის ხანგრძლივი ლოდინი და სხვა.

ახლა, ზემოთ აღნიშნულ მოტივებისა და ამგვარ ფონდის უქონლობისა გამო, რა თქმა უნდა რომ ყველა გადიდებულ მოთხოვნების ოჯახი იძულებული იქნება მოსცილდეს სოფელს და ემიგრაციაში წავიდეს მისი მოშორებით.

უბედურება მასშია, რომ სოფელს რომ შორდება მასთან ისტორიულათა და ტრადიციებით შენორცებული, მისი მოსიყვარულე და მისთვის ბევრი სიამოვნების დამთმობი ელემენტი, სამაგიეროთ მას არ შეემატება არც ახალი ძალა, რადგან ეს შეიძლება დესტრუქციის ნორმაც სამეკვიდრეო ჩვეულების ძალით, სულ მოკლე ხანში დაიქუთბება სულ მკორდ პარკლებში და არაერთარს კაბიტაღის არ ძალუხს ამისთანა პირობებში სოფლათ შექა, რადგან ყოველად შეუძლებელია დიდი საკუთრების შექენა პარკელა გამეფებულ ადგილებში.

უქველია ეს გარემოება ჩვენს სოფელს უმზადებს სამეურნეო პროგრესის შეჩერებასა და ჩინურ უძრობას.

მარა მომავლის გათვალწინებას რომ თავი დავანებოთ, ჩვენი სოფლის აწინდელი სურათიც არ არის საწყობო.

ამ ერთი წლის წინად რომ ყოველ ფეხის წაკვრაზე ჩვენი პროვინციის თვით უშროებს ხეობებსა და ჯურღმულებში რომ კულტურულ ოჯახებს ვხვდებით და მათ შორის, არა იშვიათათ, ევროპულათ განათლებულებსაც, — დღეს იქ უდაბნოების საშინელება გვეფინება დამწვარ, და-ცარკულ და დანგრეულ კარდების სახით.

დიდი იყო ისტორიული მისია ამ ელემენტისა სოფლათ.

პროვინციაში დაბრუნებული 1905 წ. შემდეგ ეს ელემენტი წარმოადგენდა საუკეთესო ფერმენტს სასოფლო კულტურისას, სოფელთან ტრადიციითა და მამულის

ბერნში დანიშნეს ინტერნაციონალური, სოციალისტური კონგრესი იმავე დროს იქნება სინდიკალისტების ინტერნაციონალური კრება.

რუსის ბოლშევიკების ცნობა.

დასაწყისი არ მიგვიღია დობელის რაიონში ლატიშელთა წითელ არმიელების ნაწილებმა ხელთ იგდეს ტყვიისმრქვევლები დობელის ჩრდილოეთ დასავლეთით ბრძოლა გრძელდება დასავლეთის ფრონტი გროდნენის მიმართულებით ლიტოველთა წითელგვარდიელებმა ბუდილი და ლიკონი დაიპირეს თავის მიმართულებით ოგრი დაიპირეს, სამხრეთის ფრონტი ევსტრატოვკის მიმართულებით რამონიმე სოფელი დაიპირეთ. იანვრის 18 ჩვენმა ჯარმა ქალაქი ბოგუჩარსკი დაიპირა. ნოვოპოპერის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა რკინის ხაზი დაიპირა, ხელთ იგდო ზარბაზნები და ტყვისმფრქველები. პოვერანის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ბრძოლით დაიპირა სადგური ალექსიკოვი და სოფელი გრაჩევსკოე ცარიცინის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა ჯავშიანი მატარებელი გაუნადგურა მტერს აღმოსავლეთის ფრონტი. ურალის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა დაიპირა სოფ. ტიოპო. ორენბურგის მიმართულებით ჩვენი ჯარის წინსვლა გრძელდება. ჩვენმა ჯარმა გრი-აზნო ირკეთი დაიპირა, სტუდიტამისკის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა რამოდენიმე სოფელი დაიპირა უფის რაიონში ჩვენი ჯარი რკინის გზის ორივე მხარეზე ტემპის მოწინააღმდეგ. ხარკოვი 21 იან. 16 საათის ბრძოლის შემდეგ პოლტავა უკრაინის საბჭოთა ჯარმა დაიპირა. ხელთ იგდეს ჯავშიანი მატარებელი, 2 ბატარეა და მრავალი იარაღი. მოწინააღმდეგე მემენჩუვისკენ გარბის.

ეროვნული ყრილობის ადგილი.

ბერლინის გაზეთებში ბევრს სწვრენ იმის შესახებ, თუ რომელ ქალაქში უნდა მოხდეს ეროვნულ ყრილობის კრებები. გაზეთების უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ეროვნული ყრილობა უსათუოდ ბერლინში უნდა მოხდეს.

სიყვარულით დაკავშირებული, დიდის თავდადებით ითმენდა იგი ჩვენი უკულტურო და უგზო სოფლის ყოველგვარ შევიწროებას.

სიხარულით აწყობდა იგი აგურზე აგურს, დღიურს კულტურას სხვა ახალს უმატებდა და უხაროდა, რომ მას დრო და საშუალება მიეცა ყველა ამების გასაკეთებლათ.

ვიმეორებ, ამ ბოლო დროს, არა ერთსა და ორს ევროპულათ განათლებულ პირს ნახავდით სოფლათ გატაცებითა და სიყვარულით მომუშავეს.

ამ ელემენტს რომ დასცლოდა, უქვევლია ჩვენი სოფელი ამ ათს წელში საუცხოვო სურათს წარმოადგენდა: წვრილ, გლეხურ მესაკუთრეთა ტონზე გაფანტული, სალი, ეკონომიურათ ძლიერი და კულტურული ოახისები.

ტენდენცია ასეთი იყო: შორეულს მამულებს ყიდდენ წვილიწვილიათ და ამ თანხას ახმარებდენ მეურნეობას, ასე რომ სულ ცოტა ხანში შედარე-მემამულე იშვიათ მოვლენათ-ლა გახდებოდა და მის მაგიერ იხადებოდა და ფეხს იკიდებდა საშუალო და ძლიერი ტიპი მეურნეობისა.

დღეს სოფლის ეს საუკეთესო ელემენტი, რომელსაც მამულის შენახვა და მისი უცხოელთაგან გადაჩუნება პატრიოტულ მოვალეობათ ქონდა მიჩნეული, სწორეთ იგი ისპობა და ხარობს, ის სუსტი, თალლითი, უსაქმური და უპატრიოტო ელემენტი მემამულეთა, რომელთაც უდარდელათ გადასცეს უცხოელებს კარგა ნაწილი ჩვენი ტერიტორიისა.

მარა, საკითხის სიმძიმე მართა ამაში არაა.

უქველია, ეს განდევნილი, მხნე ელემენტი, ცოტა ოდენი მტკივნეულობის შემდეგ, ადვილათ შეეგუება საქალაქო პი-

საგარეო კონფერენცია

კლემანსოს სიტყვა.

კლემანსომ კონფერენციის მუშაობის მიზანი შემდეგნაირად განმარტა: „მინ პრეზიდენტ ვილსონს უფლება ჰქონდა ავტორიტეტულად განეცხადებია, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა თავი მოუყარია მთელი დედამიწის კულტურულ ხალხთა წარმომადგენლებს, რამდენად საშინელი იყო კატასტროფა, რომელმაც ააოხრა საფრანგეთის ერთი უმდიდრესი ნაწილი, იმდენად ფართოდ უნდა იქნეს ანაზღაურებული ჩვენი ზარალი. მაგრამ ანაზღაურება უნდა იყოს არა ჩვეულებრივი ე. ი. ზარალის ანაზღაურება; გაბედით ვიტყვი, ყველას, ჩვენ გვეკუთვნის, უნდა იყო კეთილშობილური და პატიოსნური, რომელსაც ვეცდებით მივადწიოთ, რათა ხალხებს ავაცილოთ თავიდან ის მოპობის უფელი, რომელიც ტანჯვასა და გაპარტახებას ამეფებს ხალხში და ართმევს მას მშვიდობიან პირობებში შრომის საშუალებას ჩვენ გამსჭვალული ვართ ამ მალალ და კეთილშობილურ მისწრაფებით, და უნდა ვიმედვნოთ, რომ მიზანს მივალწვეთ. ის კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ჩვენ ვიხელმძღვანელებთ გარკვეულ და უკვე მიღებულ იდეებით. მხოლოდ მთლიანობის შენარჩუნებით მივალწვეთ მიზანს. ჩვენ აქ მეგობრებად შემოვდით და უნდა გავიდეთ, როგორც ძმები. თუ ის აზრი, რომელიც მინდოდა გამოეთქვა ყველაფერი უნდა დაუმორჩილოთ იმ აზრს, რომ საქირთა მქიდრო კავშირის შეკვრა ამ უდიდეს ომში მონაწილეობის მიმღებ ხალხთა შორის აქ არის წარმომადგენელი ეს მთლიანობა და ახლა თქვენზე დამოკიდებულია მისი არსებობა მომავალში. საქირთა, რომ ამის სურვილი იყოს ყველა ჩვენგანის გულში, როგორც უკვე უთხარი პრეზიდენტ ვილსონს, ამ მიზნის მიღწევამ არავინ არ უნდა იმსხვერპლოს. (დასასრული არაა).

რობებს და თვისი ნიქისა და იმ ტიტანურ ენერჯის ნაწილიც რომ დახარჯოს, სოფლათ რომ იგი ხარჯავდა აუტანელ პირობებში ერთი ათასათ მეტს ნაყოფს ჰპოვებს ცხოვრების ყველა ასპარეზზე.

დიად, პერსონალურათ, ეს განდევნილი ელემენტი იქნებ მოგებულაც იყოს, მარცხადია რომ ამ თავისუფლების მოყვარე, ამყ და შეგნებულ ელემენტის წასვლით სოფელი დიდათ წაავტეს. იგი დარჩება უსულგულოა მოხელეებისა და წვირილ, მეშინურსა და კონსერვატიულ მასის აპარა.

დასვენა ასეთია:

- 1) შეიდ მარტის აგრარული რეფორმა სამეურნეო წარმოების ტენდენციებს ზღუდავს და აფერხებს მათს განვითარებას.
- 2) იგი სამუდამო სდენის სოფლიდან კულტურულ ელემენტს და მის მაგიერ ახალსაც სამუდამოდ გზას უხშობს.
- ყველა ამების გასაქარწყლებად საქირთა:
1. ზარალის სახელმწიფოსაგან ანაზღაურება.
2. მთავრობისა და ყველა პოლიტიკურ პარტიების მიერ იმ უნდობლობის გაქარწყლება, რომელიც ნაყოფია პროვოკაციისა.
3. მთავრობის საზოგადოებისაგან წაქეზება სამეურნეო მოღვაწეობისაგან.
4. ფართე კრედიტი.
5. ადგილისა და დარგის მიხედვით მეურნეთათვის. იმდენი მამულის დატოვება, რომ გარდა წარმოებისათვის საქირთა სიერცისა მას კიდევ შედმეტად დარჩენოდეს სათადარიგო და საწარმოო თანხის მაგიერ.
6. ჩამორთმეულ მამულებში ფასის მიცემა.

ე. ციციშვილი.

ქალაქის გამგეობის განცხადება

თფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, თანახმად საარჩევნო კანონის მე-13 მუხ., რომ ქალაქის ხმოსანთა არჩევნები დანიშნულია მიმდინარე წლის 2 თებერვალს, დიდის 9 საათითან საღამოს ცხრა საათამდე. კანდიდატთა სიის წარდგენა ქალაქის გამგეობაში შეიძლება მხოლოდ 22 იანვრის 3 საათამდე.

საარჩევნო კრების ადგილები იქნება ცალკე გამოცხადებული.

ქართველებო! ნუ დაჰკარგავთ საარჩევნო ხმას!

მიღით საუბნო საარჩევნო კომიტეტში. (მისამართი ცალკეა გამოცხადებული) და თუ აღწერისდროს გამოტოვებული ხართ, შეატანიეთ სიაში თქვენი თავი

თფილისის ქალაქის არჩევნებისათვის.

თფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა საყოველთაოდ, რომელნიც სცხოვრობენ თფილისში, ან აქვთ აქ შინაური მოწყობილობა, ან დაკავშირებული არიან ქალაქთან რაიმე განსაზღვრული საქმით, რომ თფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ამომრჩეველთა სიები უკვე შედგენილია და საყოველთაოდ განსახილველად წარდგენილი იქნებიან მიმდინარე იანვრის 19, 20, 21, 22 და 23 დიდის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე შემდეგს ადგილებში:

1. საარ. უბ. ქალაქის პირველ დაწყებითი სასწავლებელი, ოლღას ქუჩა 52 სახ. მაჩაბლისა.
2. სათავად-აზნაურო გიმნაზიაში, წყნეთის ქუჩაზე.
3. " " 1. ვაჟთა პირველ გიმნაზიაში, შესავალი სობოროს ქუჩიდან.
2. მედიკ-ზაზარაძის სახლში, ოლღას ქუჩის და ვერის დაღმართის კუთხე თეატრი „მინიატურა“.
4. " " 1. ქალთა მესამე გიმნაზიაში ბებუთოვის ქუჩაზე.
2. მანთაშევის სახელობის სავაჭრო სკოლაში, ბებუთოვის ქ.
5. " " 1. მანთაშევის ქარვასლაში, სომხის ბაზარზე № 62.
2. ხელოსანთა გამგეობაში რუსის ქუჩაზე.
6. " " 1. პუშკინის სახელობის საქალაქო სკოლაში, ვორონცოვის ქ.
2. მუსულმანთა აუდიტორიაში, ბოტანიკურ ქუჩაზე.
7. " " 1. ნადეჟდას თავშესაფარში რეიტერის ქუჩაზე.
2. მურაშკის თეატრში, თელავის ქუჩაზე.
8. " " 1. ავღაბრის კლუბის საზამთრო შენობაში, კახეთის ქ.
2. არაკსიანის თეატრში.
9. " " 1. პირველ კომერციულ სასწავლებელში, ნიკოლოზის ქუჩაზე.
2. მოლოკანთა საზოგადოების სკოლაში, დესიმონოვის მოედანზე.
10. " " 1. პეტრე დიდის სახელობის ქალაქის სკოლაში, ჩერქეზიშვილის ქ. № 29.
2. მუშათა კლუბში ერთობის უბანში.
11. " " 1. სახალხო სახლში ზუბალაშვილების სახელობისა, კიროჩნი ქ.
2. ავკალის აუდიტორია ჩერქეზიშვილის ქუჩაზე.
12. " " 1. ნაძალადევის თეატრი,
2. ქალაქის სკოლაში ჩერქეზიშვილის ქ., სახ. ბოტესი.
13. " " 1. რკინის გზის სასწავლებელში, შერემეტიევის ქ.
2. ტრამვაის კონტორაში.
14. " " 1. საბურთალოს კომისარიატში.

მოქალაქეთ, რომელნიც მოისურვებენ გაიგონ არიან თუ არა შეტანილი საარჩევნო სიაში უნდა მიმართონ ნაჩვენებ ადგილებში, სადაც იქნებიან განსაკუთრებული ბიანი, სიების ნაკლებობის და უსრულობის შესახებ განცხადებებით და საჩივრებით. განცხადებები და საჩივრები შეიძლება როგორც წერილობით ისე სიტყვიერათ; განცხადებებს და საჩივრებს უნდა ახლდეთ საბუთის ქაღალდები საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის დამამტკიცებელი (პასპორტი, მეტრიკა, ნამსახურობის სია თავისი ან მამისა) ქართველები არ არიან ვალდებული წარმოადგინონ ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები, გარდა მეტრიკისა იმ შემთხვევაში როცა მომხივარნი გარეგანის შეხედულებით 20 წლისაზედ ნაკლებნი არიან.

ყველა განცხადებებს და საჩივრებს ქალაქის გამგეობა განიხილავს 24 და 25 იანვარს თუ ამ ორი დღის განმავლობაში მომხივანთ არ მიუვათ ქალაქის გამგეობისაგან პასუხი საჩივარისა ან მიუვათ უარი, მათ აქვთ უფლება ორი დღის განმავლობაში, ე. ი. 26 და 27 ამა იანვარს შეიტანონ საჩივარი საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ განყოფილებაში, რომელიც ვალდებულია ორის დღის განმავლობაშივე ე. ი. 28 და 29 იანვარს განიხილოს ყველა სასამართლოში შესული საჩივრები.

რესპუბლიკის მოქალაქენო, იცოდეთ, რომ ვინც სიაში არ იქნება შეტანილი მას ხმის უფლება არა აქვს არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. ეშურეთ, ისარგებლოთ კანონიერი ვადით და განაცხადეთ საჩივარი ბიუროებში გამოტოვების და სიების ნაკლებობის შესახებ, რომ შეტანილი იქნენ სიებში და არ დაკარგოთ ხმა.

მოქალაქენო, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები უნდა მოხდეს 14-16 თებერვალს. დამფუძნებელ კრების არჩევნები თფილისში მოხდება ამომრჩეველთა იმავე სიებით, რომლებითაც უნდა მოხდეს ქალაქის ხმოსანების არჩევნები. ახალი საარჩევნო სიები დამფუძნებელ კრებისათვის არ შესდგება. საქალაქო არჩევნებისათვის ამომრჩეველთა სიები სდგება და ამ სიებით უნდა მოხდეს ორი ფრიად მნიშვნელოვანი არჩევნები: ქალაქის საბჭოს და დამფუძნებელი კრებისა. ვინც სიებში არ იქნება შეტანილი მას არ აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა არც ერთს ამ არჩევნებში.

მოქალაქენო, შესრულეთ თქვენი მოვალეობა და ვინც გამოტოვებულია სიებში, ეშურეთ შეიტანეთ განცხადება საჩივარო ბიუროში, რომ დამატებით ჩაგწერონ და ხმა არ დაკარგოთ.

ქართველნო, ქალაქის საბჭოს და დამფუძნებელ კრების არჩევნები მოასწლოვდა. თქვენი ვალია ემსადოთ და მეტის უურადლებით მოეპურათ მას არც ერთი ქართული ხმა არ უნდა დაიკარგოს.

განცხადება

ვაცხადებ ყველას, რომ 14 ამა იანვარს-მედიკ-ზაზარაძის ქალაქ თფილისის მილიციის საქმეების სარევიზიოდ და მილიციის მოხელეთა ბოროტ-მოქმედების გამოსაძიებლად. კომისიაში შედიან თფილისის სასამართლო პალატისა და საოლქო სასამართლოს ბრალმდებელნი, მათი ამხანაგები, მთავრობის იურისკონსულტი, საქართველოს პარლამენტის წევრნი და სხვები.

ბოროტების ძირშივე აღმოსაფხვნელად და დამნაშავეთა დასასჯელად მოუწოდებ ყველას, ვინც დაზარალებულია მილიციის მოხელეთა უკანონო მოქმედებით, ან ვისაც რაიმე ცნობები აქვს იმათ მიერ ჩადენილ ბოროტების შესახებ, გაუცხადონ ამის შესახებ ზემოთ აღნიშნულ კომისიას.

მთავრობის თავმჯდომარე - ნ. შორდანიძე
14 იანვარი, 1919 წ.
ქ. თფილისი.

ქართული ლატარია.

მოქალაქენო, ნუ აზვიანდებით ბილეთების შეკანას!

„კლდის“ ბიბლიოთეკა:

- დაბეჭდა ნაწერები:
- გრიგოლ ვეფხისტყაისის
- „ნანს-დემოკრატიული პარტია.“
- დავით ვაჩნაძის
- „მუდმივი ჯარით“
- სახალხო ბილითია
- მიხეილ მაჩაბლის
- „მიწის საკითხი“
- შალვა შარვაშიძის
- სამღვთო სჯულის
- სწავლავის გაუქმება.
- თეო წიგნის ფასი 15 მუხრ.

საქართველოს გაუკანაო და მიწის განსაკუთრათა კავშირის საბჭო.

ამით აცხადებს, რომ ყოველნაირი ცნობების მიღება და კავშირში წვერათ ჩაწერა შეიძლება შემდეგის მისამართით: ბარიათისკის დაღმართი № 6. სამეურნეო საზოგადოების შენობაში. მუდამ დღე 11-1 საათამდე, კვირა უქმის გარდა.

ქ. ლ. ჯავახიშვილი

ბინა: ვერა, გუნბის ქუჩა № 41.
ტელეფ. № 14-09.
მიიღებს ბავშვთა და შინაგან სწეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, დიდის 9-11 და ხალაზის 5-7 საათ.